ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5127792

ნომერი: AR1770753

თარიღი : 02.09.2020

გაცემის თარიღი : 02.10.2020

გაცნობის თარიღი : 03.10.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა, N 58ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ გიგაური პ/ნ 01017014968
- თბილისი ვაჟა-ფშაველას მე-6კვ.38კ.ბინა43.

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზურაბ გიგაური
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს"ფრიზი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404863091

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს"აიკონია კაპიტალი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 401995980
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: სეტ ედვარდ ბლაი ჩერ

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01891005108

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3372225
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 4.07.2017

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 ივლისის №3372225 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის გაშვებული ვადის აღდგენის თაობაზე

ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ- ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურისსამსახურს 2020 წლის5 აგვისტოს №10/01202183021-01 და 2020 წლის 2 სექტემბრის №AR1770753 განცხადებებითმომართა შპს აიკონიაკაპიტალის წარმომადგენელმა და მოითხოვა სამსახურის2017 წლის 4 ივლისის№3372225ბრძანებით გაცემულიმშენებლობის ნებართვისვადის აღდგენა.
სამსახურის 2020 წლის 4 სექტემბრის №ბ60.01202481 და 2020 წლის 12 აგვისტოს №ბ60.01202252 ბრძანებებით განისაზღვრა 2020 წლის 5 აგვისტოს №10/01202183021-01 განცხადების განხილვისადმინისტრაციული წარმოების ვადა.
სამსახურმა, საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლისმოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვისარსებითი მნიშვნელობისმქონე გარემოებებიდა დაადგინა, რომ სამსახურის მიერ2011 წლის 9 აგვისტოს №01.10.16.004.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობისაშენების მიზნით დამტკიცდა №1185 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2016 წლის 17 თებერვლის №2437729 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა თამარაშვილი, №13, (ნაკვეთი №4/51), შპს “იკონია კაპიტალი”-ს კუთვნილ მიწისნაკვეთზე (ს/კ: №01.10.16.004.051) მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცამშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა2016 წლის 17 თებერვლიდან 2018 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 3 მაისის №1-1007 ბრძანებით დაკმაყოფილდა მერაბ კახიანის, ჯამბული ბახტაძის და გიორგი ჯიქიას წარმომადგენლის უჩა ზაქაშვილის ადმინისტრაციული საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი სამსახურის 2016 წლის 17 თებერვლის №2437729 ბრძანება და სამსახურს დაევალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდგომ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.
სამსახურმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 3 მაისის №1-1007 ბრძანების აღსრულების ფარგლებში, იმსჯელა საკითხზე და 2017 წლის4 ივლისის №3372225 ბრძანებით შეთანხმდა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 4 ივლისიდან 2019 წლის 4 ნოემბრის ჩათვლით.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 ოქტომბრის №1-2243 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ჯამბულ ბახტაძის, მერაბ კახიანის და გიორგი ჯიქიას ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა სამსახურის 2017 წლის4 ივლისის №3372225 ბრძანება, რაც გასაჩივრდა სასამართლოში ჯამბულ ბახტაძის, მერაბ კახიანის და გიორგი ჯიქიას მიერ.
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ- საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით (საქმე№3/6921-17) შეჩერდა სამსახურის 2017 წლის4 ივლისის №3372225 ბრძანების მოქმედებამოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სასარჩელო წარმოებისსხვაგვარად დასრულებამდე.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ- საქმეთა პალატის 2018 წლის 19 თებერვლის განჩინებით (საქმე №3ბ/2700-17) სამსახურის და შპს „აიკონია კაპიტანილი“-ს კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ- საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინება.
თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის (საქმე№3/6921-17) გადაწყვეტილებით ჯამბულ ბახტაძის, მერაბ კახიანის და გიორგი ჯიქიას სარჩელი არ დაკმაყოფილდა (სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სამსახურის 2017 წლის 4 ივლისის №3372225 ბრძანების და მერიის 2017 წლის 16 ოქტომბრის №1-2243 ბრძანების ბათილად ცნობა).
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ- საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ოქტომბრის (საქმე №3ბ/1218-19) განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 ივნისის (საქმე №ბს-125

(2კ-20) განჩინებით ჯამბულ ბახტაძის და მერაბ კახიანის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ- საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ოქტომბრის განჩინება.
წარმოდგენილი 2020 წლის5 აგვისტოს №10/01202183021-01 განცხადებით შპსაიკონია კაპიტალისდირექტორი - სეტედვარდ ბლაიჩარი ითხოვსსამსახურის 2017 წლის4 ივლისის №3372225 ბრძანებით გაცემულიმშენებლობის ნებართვისვადის აღდგენას, ვინაიდან, მშენებლობისნებართვის მოქმედების პერიოდშიინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებაშეჩერებული იყო.
სამსახურში, ასევე, წარმოდგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 22 ივლისის გზავნილისაქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 ივნისის განჩინების ასლის გაგზავნის თაობაზე.
საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა №58ა-შიმდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.16.004.051) მესაკუთრეს წარმოადგენსშპს აიკონია კაპიტალი (ს/ნ: 401995980). მეწარმეთა დაარასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: B19047704; მომზადების თარიღი: 24/04/2019 წ.) თანახმად, შპსაიკონია კაპიტალის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სეტედვარდ ბლაი ჩარი.
2020 წლის 2 სექტემბრის №AR1770753 განცხადებით წარმოდგენილია მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი 28 (ოცდარვა) თვეზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის მესამენაწილის თანახმად, გაშვებული ვადა უნდა აღდგეს, თუ დაინტერესებულმა მხარემ კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოსმიერ დადგენილი ვადა გაუშვა არაბრალეულად–დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიომიზეზით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კი დაინტერესებული მხარე გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული გარემოებათა აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღისა.
ვინაიდან, 2020 წლის 5 აგვისტოს №10/01202183021-01 განცხადებით პსაიკონია კაპიტალის დირექტორის - სეტ ედვარდ ბლაიჩარის მიერ მოთხოვნილია სამსახურის2017 წლის 4 ივლისის №3372225 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვით გაშვებული ვადის აღდგენა, ხოლო, საქმის მასალებითდგინდება, რომ მშენებლობის ნებართვისმოქმედება შეჩერებული იყო თბილისის საქალაქოსასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით(საქმე №3/6921-17), ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 ივნისის (საქმე№ბს-125 (2კ-20) განჩინება მხარესგაეგზავნა 2020 წლის 22 ივლისს დადაინტერესებული მხარესამსახურს მომართავსსაქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის94-ე მუხლითდადგენილი15 დღიანი ვადისდაცვით, 2020 წლის 5 აგვისტოს№10/01202183021-01 განცხადებაუნდა დაკმაყოფილდეს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის63-ე და94-ე მუხლისთანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს შპს აიკონია კაპიტალის წარმომადენლის 2020 წლის 5 აგვისტოს №10/01202183021-01 და 2020 წლის 2 სექტემბრის №AR1770753 განცხადებები.
2. გაშვებული ვადის აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 ივლისის №3372225 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 2 ოქტომბრიდან 2023 წლის 2 თებერვლის ჩათვლით, 2020 წლის 2 სექტემბრის №AR1770753 განცხადებით წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.